პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 215 (5245) 1974 წ. 30 ოქტომბერი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქართველოს ჩემპიონი ლელობურთში

გურჯაანში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ლელობურთში, რომელშიც 6 უძლიერესი გუნდი მონაწილეობდა.

დიდ წარმატებას მიაღწიეს ქუთაისელმა ლელობურთელებმა, რომლებმაც ხუთივე მეტოქე დაამარცხეს: წითელი წყარო — 28:6, თელავი — 19:2, გალი — 15:3, ქობულეთი — 19:13, გურჯაანი — 7:1, და დამსახურებულად მოიპოვეს I ადგილი.

• • •



სურათზე: საქართველოს ჩემპიონი — ქუთაისის ნაკრები გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან) — რ. გაბუნია, გ. გვეტაძე, რ. ხელაძე, ვ. შვანგირაძე, ა. ბიტკაშა, ა. ჩოგოვაძე, ა. ბიბილეიშვილი, დ. რეხვიაშვილი; მეორე რიგში — ვ. ცქიტიშვილი, დ. თუთბერიძე, ვ. მდივანი, რ. სვანიძე, შ. ქურციკიძე (ორივე — მოთამაშე მწვრთნელი), გ. ცქიტიშვილი, ს. ტყეშელაშვილი, დ. კავთელაშვილი, ს. გრძელიძე, დ. ხომაშურიძე, თ. ქურციკიძე.

## მხოლოდ ვერცხლის ჯილდოები

მეხიკო, 28 ოქტომბერი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატში „ოქროს მიზნამდე" ვერ მიაღწია, ვერცხლის მედლებს დასჯერდა. გვადალაპარაში მან და იაპონიის ეროვნულმა გუნდმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. და აი, ეს ორი კოლექტივი ერთმანეთის პირისპირ დადგა. საბჭოთა ფრენბურთელებმა სუსტად ითამაშეს და დამარცხდნენ — 0:3 (10:15, 6:15, 14:15). ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონის წოდება იაპონელებმა მოიხვეჭეს.

მეხიკოში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდს სძლია — 3:0.

მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლების ბედი პოლონეთისა და იაპონიის გუნდების შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა.

ამ შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. პოლონელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და გაიმარჯვეს კიდეც — 3:1 (13:15, 15:7, 15:11, 17:15). უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთის ეროვნულ გუნდს მსოფლიო ჩემპიონატში არც ერთი შეხვედრა არ წაუგია.

საბჭოთა ნაკრები II ადგილზე გავიდა.

ბრინჯაოს ჯილდო იაპონელებს ხვდათ. IV ადგილზეა მსოფლიოს წინა ჩემპიონატში გამარჯვებული გდრ-ის ნაკრები, V — ჩეხოსლოვაკიის გუნდი, VI — რუმინელთა კოლექტივი.

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა

**I ლიგა**

## მოსკოვის „ლოკომოტივი" — უმაღლეს ლიგაში

28 ოქტომბერს მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა ბოლო კალენდარული მატჩი ჩაატარეს ივანოვოში, სადაც მათი მეტოქე იყო ადგილობრივი „ტექსტილშჩიკი".

ლოკომოტიველებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:2, დააგროვეს 53 ქულა და ახლა მიუწვდომელი არიან თავიანთი მეტოქეებისთვის. ამრიგად, ორი წლის „შესვენების" შემდეგ მოსკოვის რკინიგზელთა გუნდი კვლავ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას.

**სხვა მატჩები**

ასე დამთავრდა: „პამირი" (დუშანბე) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 1:0, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:1, „ნეფთჩი" (ბაქო) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 6:4, „შინიკი" (იაროსლავლი) — „დინამო" (მინსკი) 3:3, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) — „კუზბასი" (კემეროვო) 4:1, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ზვეზდა" (პერმი) 2:1.

● ●

### საწვრთნელი შეხვედრები

საკავშირო ჩემპიონატში 27-ე ტურის მატჩების გადატანასთან დაკავშირებით თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა ამ დღეებში ორი ამხანაგური საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს ჭიათურასა და გორში.

დინამოელებმა ჭიათურაში ანგარიშით 4:0 მოუგეს „მაღაროელს", ხოლო შემდეგ გორში დაამარცხეს „დილა" — 3:0.

## „მათ დღესასწაული გვაჩუქეს"

სოფია, 28 ოქტომბერი. (საკდესი). „სსრ კავშირის სპორტსმენმა ქალებმა ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატი მოხდენილობის, სილამაზისა და ძალის ნამდვილ დღესასწაულად აქციეს", — ასე შეაფასა საბჭოთა გუნდის გამოსვლა ვარნაში ბულგარეთის გაზეთმა „რაბოტნიჩესკო დელო".

საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს ძალიან აქებენ სხვა ბულგარული გაზეთებიც, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტები.

„უკვე მრავალი წელია, — ხაზგასმით აღნიშნავს „ნაროდენ სპორტი", — საბჭოთა ჭაბუკები და ქალიშვილები ამხობენ მსოფლიო რეკორდებს, თავიანთი ოსტატობით გვიმტკიცებენ, რომ ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი არა აქვს. ისინი სამაგალითონი არიან მთელი სპორტული სამყაროსთვის. მათი წარმატებები სოციალისტური წყობილების ნათელი დადასტურებაა".

გაზეთი „ნაროდენ მლადეჟი" ჩემპიონატის შედეგების შეჯამებისას წერს, რომ უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა შეხვედრები მუდამ ამ სახეობის განუხრელი განვითარების ტენდენციებს ავლენს. უკვე დიდი ხანია ყველა შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალს საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალთა წარმატებებს. მათმა სკოლამ ახალი ეპოქა დაიწყო ქალთა ტანვარჯიშის განვითარებაში. „მის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი დაუვიწყარი ლარისა ლატინინას სახელი, რომელსაც, როგორც სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს, დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა სპორტსმენ ქალთა დღევანდელ წარმატებაში.

თავიანთი სახელოვანი წინაპორბედის გზას ღირსეულად აგრძელებენ მსოფლიოს 1974 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ლ. ტურიშჩევა და მისი მეგობარი, დიდი ვერცხლის მედლის მფლობელი ო. კორბუტი".

## მოსკოველთა ძლიერი მეტოქე

ბაზელი, 28 ოქტომბერი. აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილე ხელბურთელ ვაჟთა გუნდების წილისყრა. მერვედფინალის პირველ მატჩში სსრ კავშირის ჩემპიონის — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდის მეტოქე იქნება რუმინეთის უძლიერესი კოლექტივი — ბუქარესტის „სტიაუა".

## შავი ზღვის რეგატა

სევასტოპოლი, 29 ოქტომბერი. შავი ზღვის რეგატა ამჯერად ტრადიციისამებრ გაზაფხულზე კი არ გაიმართა, არამედ გვიან შემოდგომაზე და, ამდენად, სეზონის შედეგები შეაჯამა.

ამ საინტერესო შეჯიბრებაში გაიმარჯვეს: ვ. მანკინმა (უკრაინა) — „ტემპესტის" კლასში, ვ. პოტაპოვმა (რსფსრ) — კლასში „470", მოსკოველებმა ვ. ლეონტიევმა — „მფრინავ ჰოლანდიელში", ბ. ბუდნიკოვმა — „სოლინგის" კლასში, ვ. ვასილიევმა — „კატამარანში", ვ. ტინეევმა — „ურჩხულის" კლასში, ა. ბალაშოვმა — „ფინის" კლასში.

აფროსნებს ძლიერ (5-6 ბალი) ქარში მოუხდათ ასპარეზობა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბოლო, მეშვიდე რბოლა მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით არც ჩატარებულა. შეჯიბრებაში ბევრი ახალგაზრდა აფროსანი მონაწილეობდა და გამოცდილ სპორტსმენებთან ბრძოლა მათთვის დიდებული სკოლა იყო.

მანკინმა და ვასილიევმა ექვსივე რბოლა მოიგეს. (საკდესი).

### მშდ — ტურისტულ ბილიკებზე

## კომკავშირის დაბადების დღეს მიეძღვნა



სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის საშუალო სკოლის კომკავშირულმა ორგანიზაციამ მოაწყო ტურისტული ლაშქრობა, რომელიც კომკავშირის დაბადების დღეს მიეძღვნა. მარშრუტი ასეთი იყო: ტიბაანი — გრემი — ყადარო — ტიბაანი.

გრემში სპორტის რამდენიმე სახეობაში სამატჩო შეხვედრები გავმართეთ ადგილობრივი რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებთან, რომლებთანაც დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. მეორე დღეს კი ლაშქრობა გავაგრძელეთ.

ლაშქრობის დროს ჩვენმა მოსწავლეებმა მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარეს 100 მეტრზე რბენასა და ხელყუმბარის ტყორცნაში. ამ სახეობებში წარმატებას მიაღწიეს გ. გიგოლაშვილმა, თ. ნასიბოვმა, დ. შიუკაშვილმა, ნ. ხატიაშვილმა, ს. ლათიბაშვილმა, მ. გურაშვილმა, ნ. ათანელიშვილმა და სხვ.

ლაშქრობაში 80 მოსწავლე მონაწილეობდა.

**ა. ხატიაშვილი,**
ტიბაანის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

● ●

## კოჯრის მიდამოებში

ამას წინათ კოჯრის მიდამოებში ჩატარდა საქარხნო რაიონის ტურისტთა მეორე შეკრება-შეჯიბრება. ღონისძიება კომკავშირისა და ფიზკულტურის რაიკომების თაოსნობით მოეწყო. მისი მიზანი ტურიზმის პოპულარიზაცია და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება იყო.

შეკრება-შეჯიბრებაში დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, საავეჯო კომბინატ „განთიადის", ვამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის, გრეხილი ავეჯის, ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატის, „საქსოფლმშენისა" და სხვა კოლექტივების 160-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

• ტურისტები პირველ დღეს მშდ კომპლექსის ნორმატივების (ხელყუმბარის ტყორცნა, ღერძზე მიზიდვა, აჭიმვა) ჩასაბარებლად გამოვიდნენ სტარტზე.

მეორე დღეს გაიმართა ტურისტული ესტაფეტა. პროგრამის ამ ყველაზე საინტერესო სახეობაში ავიამშენებლებმა იმარჯვეს. მეორე იყო საავეჯო კომბინატ „განთიადის" კოლექტივი, ხოლო მესამე — ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატის გუნდი.

ამ სასარგებლო ღონისძიების ჩატარებაში დიდი დახმარება გაგვიწია საავეჯო კომბინატ „განთიადის" ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ, რომელმაც შეკრება ინვენტარითა და მსაჯებით უზრუნველყო.

**ვ. ბუცხრიკიძე,**
საქარხნო რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.



კატოვიცე. კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ათივე საბჭოთა ათლეტმა ჯილდო დაიმსახურა.

გუნდური გამარჯვებისთვის პრიზი, ისევე როგორც შარშან, წლეულსაც სსრ კავშირის ნაკრებმა დაიმსახურა.

• • •

სურათზე: მოსკოველი მსოფლიო ჩემპიონ ფ. მუსტაფინისა (ზევიდან) და ფრანგი ბ. შავგფევის შეხვედრა.

ცაფ — საკდესის ტელეფოტო.

### განა ასე ასრულებენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხზე?!

# ნიჭს მხარდაჭერა სჭირდება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხზე დადგენილების მიღებიდან ოთხ თვეზე მეტი გავიდა. ეს საკმარისი დროა იმისთვის, რომ ორგანიზაციებს, რომლებსაც ამ დადგენილების განხორციელება ევალებათ, მუშაობა გარდაექმნათ, სასწავლებლების, საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ფიზკულტურულ კოლექტივებში, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებსა და უწყებებში, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ, საქალაქო, საოლქო კომიტეტებში, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ღონისძიებანი დაესახათ და პირველი სერიოზული პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაედგათ.

ცხადია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ანგარიშის განხილვის შემდეგ მიღებულ გადაწყვეტილებას უკვალოდ არ ჩაუვლია, მაგრამ რაც გაკეთდა, არ კმარა, მით უმეტეს, რომ ზოგან ძვრა თითქმის არც შეიმჩნევა.

ზესტაფონის რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში გადაწყვიტეს, დადგენილებას პირველნი გამოხმაურებოდნენ: დაესახათ სათანადო ღონისძიება ფიზკულტურის კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესებისთვის, მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩასაბარებლად შეჯიბრებათა ხშირად მოწყობისთვის, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისთვის, რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული ცხოვრების შემდგომი აღმავლობისთვის. მუშაობის გამოცდილების გამდიდრების მიზნით ჭიათურას ეწვივნენ, სადაც ახალი სპორტული ბაზები დაათვალიერეს. გატარდა ზოგიერთი სხვა ღონისძიებაც: უკვე საგრძნობლად გაუმჯობესდა სპორტსაქონლით რაიონის მომარაგება, ივლისის დამდეგს რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობის საკითხზე სპეციალურად იმსჯელეს, მაგრამ ჯერჯერობით სხვა პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის წინსვლას რამდენიმე ობიექტური მიზეზიც უშლის ხელს.

რაიონის სკოლების უმეტესობაში ფიზკულტურის სწავლების დონე კვლავ დაბალია, გაკვეთილები უინტერესოდ, უფერულად მიმდინარეობს, ზოგჯერ კი სულაც არ ტარდება — ფიზკულტურისთვის განკუთვნილ დროს არადანიშნულებისამებრ იყენებენ. ფიზკულტურის სწავლება განსაკუთრებით დაბალ დონეზე დგას ქალაქის მე-4, ბოსლევის, კლდეეთის, არგვეთის, სვირის სკოლებში. ბოსლევისა და კლდეეთის საშუალო სკოლებში ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილი იყო, კლასგარეშე მუშაობა — მივიწყებული. ვერ ავლენდნენ ფიზკულტურასა და სპორტში ნიჭიერ ბავშვებს, არ ატარებდნენ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს, თავს არიდებდნენ რაიონულ ტურნირებს.

ბოსლევისა და კლდეეთის სკოლების დირექტორები ი. ბედოშიძე და გ. პერაძე, ფიზაღზრდის მასწავლებლები ო. ფხაკაძე და გ. არჩვაძე ასეთი უგულისყურობისთვის სათანადოდ დაისაჯნენ. მაგრამ ეს ყველასთვის როდი გახდა სიგნალი.

ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა, ფიზკულტურის სწავლება ისევ დაბალ დონეზე დგას. არც ბაზები აქვთ საკმარისი — მოედნები მოუწყობელია, კლასდარბაზი დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

საშველი არ დაადგა სოფლის კოლექტივებში ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებას. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თითქმის არ ეწყობა ბრიგადებისა და განყოფილებების შეჯიბრებები, „კოლმეურნის" რაისაბჭოს მიერ გამართულ ისედაც თითზე ჩამოსათვლელ შეჯიბრებებში ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის გუნდები არ გამოდიან. მივიწყებულია ამ კოლექტივების ფიზკულტურელთა სამატჩო შეხვედრები.

ერთადერთია არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული ორგანიზაცია, სადაც რაღაც მაინც კეთდება — ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, ხშირად მონაწილეობენ რაიონულ ტურნირებშიც.

ალავერდის კოლმეურნეობა ეკონომიურად საკმაოდ ძლიერია. კარგი ტრადიციები ჰქონდა ამ სასოფლო-სამეურნეო არტელის ფიზკულტურულ კოლექტივსაც, მაღალთანრიგოსნებს (სპორტის ოსტატებსაც კი) ამზადებდნენ, მაგრამ ბოლო წლებში კოლექტივში მუშაობა შენელდა. ფიზკულტურის მეთოდისტს, რომელმაც ახალგაზრდობის დარაზმვა შეძლო და გამაჯანსაღებელი საქმიანობა სათანადო დონეზე დააყენა, ამ ბოლო ხანს კოლმეურნეობის გამგეობის მხარდაჭერა მოაკლდა.

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ძალიან დაბალ დონეზე დგას ძირულის, ბოსლევის, ტაბაკინის, წიფლავაკის კოლმეურნეობებში. ეს გასაკვირი არც არის, ვინაიდან ამ სასოფლო-სამეურნეო არტელებში კოლექტივის საბჭოები ან არ არსებობს, ან ფორმალურად, მხოლოდ ქაღალდზეა შექმნილი და ამიტომ არავითარი პრაქტიკული ღონისძიება არ ხორციელდება.

სოფლის კოლექტივებში სპორტული ბაზების მოწყობა და მოვლა-პატრონობა თვითდინებაზეა მიშვებული. პარტიის რაიონული კომიტეტის მითითება ბევრგან არ სრულდება, მაგალითად, ტაბაკინში, ძირულაში, ილემში სპორტული ბაზების მოსაწყობად მიწის ნაკვეთი დღემდე არ გამოუყვიათ, სვირის ხეხილის სანერგე მეურნეობის, კლდეეთის კოლმეურნეობის საფეხბურთო მინდვრები და ფრენბურთის მარტივი ტიპის მოედნები ისევ მოუწყობელია.

ზესტაფონში რამდენიმე საწარმოა, რომელთა ფიზკულტურული კოლექტივების კარგ მუშაობაზე რაიონული მასშტაბით ბევრი რამაა დამოკიდებული. ფეროშენადნობთა ქარხნის ორგანიზაციაზე სამდურავს არც „განთიადის" ცენტრალურ საბჭოში ამბობენ და არც რაიონში. ამ საწარმოს ფიზკულტურელთა განკარგულებაშია რაიონში საუკეთესო სტადიონი, საცურაო აუზი, სტადიონის ტრიბუნების ქვეშ მოწყობილი ორი საწვრთნელი დარბაზი... არც სპორტული საქმიანობაა დავიწყებული. ფიზკულტურელები შრომის ავანგარდში დგანან.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ზესტაფონის კაბელებისა და შორაპნის ელექტროელემენტების, „ლოკომოტივის" გაერთიანებული კოლექტივის, ზესტაფონმშენის, ბინმშენის და სხვა ფიზკულტურული ორგანიზაციების შესახებ. მაგალითად, ელექტროელემენტების ქარხნის ტერიტორიაზე ვერავითარ სპორტულ ნაგებობას ვერ ნახავთ, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ჩამკვდარია. „ლოკომოტივის" ორგანიზაციებში, რომლებსაც საზოგადოებრივ საწყისებზე უძღვება ფ. მოდებაძე, მშრომელთა შორის არავითარი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი არ ტარდება, „ლოკომოტივის" სამტრედიის რაისაბჭოს კი ეს მდგომარეობა ოდნავადაც არ აწუხებს.

სასკოლო, სასოფლო და სამრეწველო კოლექტივების ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის დაბალი დონე, სპორტული ბაზებისადმი უყურადღებობა, დოსაფის პირველადი და რაიონული კომიტეტების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა გახდა იმის მიზეზი, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების გეგმებს რაიონის ყველა ფიზკულტურული კოლექტივი ვერ ასრულებს, რაიონული გეგმა კი მხოლოდ რამდენიმე მოწინავე კოლექტივის ხარჯზე სრულდება.

დოსაფის რაიონულ კომიტეტს, რომელიც პასუხისმგებელია რაიონში სპორტის ტექნიკური სახეობების, მათ შორის, ტყვიის სროლის განვითარებისთვის, მშდ კომპლექსში ამ სახეობის ნორმატივების ჩაბარებისთვის, ერთი კაპიტალური სასროლეთიც არა აქვს.

ზესტაფონის რაიონში არც ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურებაა სათანადოდ მოგვარებული. როგორც ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ, სპორტის ოსტატმა კ. ბაზაძემ გვითხრა, წინათ ფიზკულტურელთა საექიმო კონტროლს ამ საქმის კარგი სპეციალისტი პ. ქუმბურიძე უძღვებოდა, მაგრამ ჯანმრთელობის რაიონული განყოფილების განკარგულებით იგი სამუშაოდ სვირში გადაიყვანეს. ახლა ფიზკულტურელებისა კი არა, რაიონის ნაკრების სპორტსმენთა საექიმო შემოწმებაც ხშირად ფერხდება ან ფორმალურად ხდება.

მაგრამ რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას მარტო ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები როდი უშლის ხელს. კ. ბაზაძემ სამართლიანი გულისტკივილით აღნიშნა, რომ საქმეს დიდად აფერხებს ფიზკულტურის ზემდგომი ორგანოების გულგრილობაც.

დასავლეთ საქართველოს ზონალურ სპარტაკიადაში ველოსიპედისტთა გუნდების გამოყვანა, სულ ცოტა, ხუთ რაიონს მაინც შეეძლო, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის შესაბამის განყოფილებაში კი, არ ვიცით სახსრების ეკონომიით სურდათ, თუ ზედმეტ მუშაობას თავი აარიდეს, ველოსპორტი სპარტაკიადის პროგრამიდან სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე ამოიღეს.

— ან ფარიკაობამ რა დააშავა? ყველასთვის ცნობილია, რომ ეს სახეობა ზესტაფონში უყვართ, ტრადიციაც გვქონდა. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი სპორტსმენები შეჯიბრებებში ვერსად გამოდიან, ეს ტრადიცია თანდათან ქრება. ესა თუ ის სახეობა სპარტაკიადის პროგრამაში თუ არ შევიტანეთ, მისი განვითარებისთვის არავინ იზრუნებს და, მაშასადამე, რესპუბლიკური ნაკრებიც შევსებას ვერსაიდან მიიღებს, — თქვა ბაზაძემ და განაგრძო: — რაკი სიტყვამ მოიტანა, იმასაც გეტყვით, რომ საქართველოს სპორტკომიტეტის წარმომადგენლებს ზონალურ სპარტაკიადებზე იშვიათად ნახავთ, მსაჯთა ბრიგადები კი მხოლოდ ასპარეზობის დაწყების დღეს, ან უკეთეს შემთხვევაში, წინადღით ჩამოდიან.

და მაინც, ზესტაფონელები ზონალურ სპარტაკიადაში რიგიანად გამოვიდნენ — კომპლექსურ ჩათვლაში ლიდერობენ. ეს ფაქტი ამ რაიონის ფიზკულტურელთა დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს. ამ შესაძლებლობებს, ამ ნიჭს სათანადო ხელშეწყობა სჭირდება.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ზესტაფონი.

## რეკორდები

ტაშკენტი, 29 ოქტომბერი. ტყვიის მსროლელთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში მოასპარეზეებმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს. მოსკოველმა ვ. ნიკოლაევმა ნებისმიერი შაშხანით 300 მეტრზე წოლელა შეჯიბრებაში რ. პოიერის (ჩეხოსლოვაკია) მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 400 ქულა 400-დან. ჩელიაბინსკელ[illegible] 599 ქულა მოაგროვა 600-დან და ლ. ფალტას (ჩეხოსლოვაკია) მსოფლიო რეკორდს 17 ქულით სჯობს.

ეს ორივე მაჩვენებელი, ცხადია, საკავშირო რეკორდია.

ჩემპიონატის ორი დღის შედეგების მიხედვით ნებისმიერი შაშხანის სროლაში ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა კიეველმა გ. დანილჩენკომ — 2316 ქულა.

## საკუთარი ძალებით

ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის ლენტეხის ფილიალს მხოლოდ ორი წლის ისტორია აქვს. ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობას კომკავშირელი გოგონები შეადგენენ. ქარხნის დაარსების დღიდანვე შეიქმნა ფიზკულტურის კოლექტივი. ამ საქმის თაოსანი ფილიალის დირექტორი შ. ლიპარტელიანი გახლდათ.

ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თაოსნობით ფაბრიკის ტერიტორიაზე საკუთარი ძალებით მოაწყვეს ფრენბურთის მოედანი და 60-მეტრიანი სარბენი ბილიკი. ჩამოყალიბებულია ფრენბურთის, მძლეოსნობისა და ჭადრაკის სექციები, ეწყობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, ამხანაგური შეხვედრები.

წლეულს ფაბრიკის 80 მუშამ ჩააბარა მშდ კომპლექსის თითქმის ყველა ნორმატივი. კომპლექსის პროგრამით შეჯიბრებათა გამართვაში საწარმოს ფიზკულტურელებს დიდი დახმარება გაუწია რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მ. მუკბანიანმა. მაგრამ იმის გამო, რომ ცურვაში ასპარეზობათა ჩატარება რაიონში არსად ხერხდება, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაც არასრულყოფილად ითვლება.

ლენტეხელი მეფეხსაცმლეების ფიზკულტურულ კოლექტივს, რომელსაც აქტივისტები ხელმძღვანელობენ, მეტი მხარდაჭერა და ხელშეწყობა სჭირდება. უნდა ამოქმედდეს ზოგადგამაჯანსაღებელი და ტურისტული ჯგუფები.

ლ. ხეცურიანი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ლენტეხი.

## ფიზკულტურის კოლექტივებში

## სანატრელი აფიშები □ იმარჯვა „სოფლტექნიკის" გუნდმა □ ჩემპიონია საჭადრაკო ამოცანების ავტორი

ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრებას, თუნდაც ყოველდღე ეწყობოდეს, მაყურებელი არასოდეს დააკლდება გორში. მაგრამ... გორელ სპორტის მოყვარულებს ქართული ჭიდაობის ხილვა ამ ბოლო ხანს ოცნებად ექცათ.

და აი, ამას წინათ გორის ქუჩებში „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობის აფიშები გამოჩნდა. საჭიდაო დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა: სამი დღის განმავლობაში მაყურებლები საინტერესო და დაძაბული ბრძოლების მოწმენი იყვნენ.

ასპარეზობაში 16 გუნდის 155 სპორტსმენი მონაწილეობდა. მათ შორის ყველას აჯობეს კოლმეურნეობა „ლიახვის" წარმომადგენლებმა, რომლებმაც რაისაბჭოს ჩემპიონობა მოიპოვეს. II და III გუნდური ადგილები სკრის საცდელი მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურელებმა დაიკავეს.

პირად პირველობაში გაიმარჯვეს მ. ბითაძემ (ქვემო ხეითი), თ. გიგუაშვილმა (ტყვიავი), ვ. გოგმელიძემ (თელავი), გ. საბაშვილმა (კოლმეურნეობა „ლიახვი"), ვ. დონღუზაშვილმა („სოფლტექნიკის" განყოფილება), ზ. ბეთლემიძემ (სკრა) და თ. ადუაშვილმა („სოფლტექნიკის" განყოფილება).

* * *

„კოლმეურნის" რაისაბჭოს კალათბურთელ ვაჟთა პირველობაში გამარჯვებას ცხრა გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს. ყველას აჯობა „სოფლტექნიკის" გორის განყოფილების გუნდმა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ხელთუბნის კოლმეურნეები და სკრის საცდელი სადგურის წარმომადგენლები.

კალათბურთელთაგან სპეციალისტთა ყურადღება დაიმსახურეს გ. მახარაძემ („სოფლტექნიკა"), გ. თუმანიშვილმა (ხელთუბანი), ო. დვალიშვილმა და ჯ. ნონიკაშვილმა (ორივე — ხიდისთავი).

* * *

76 მოჭადრაკე ქალი და ვაჟი მონაწილეობდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც თვეზე მეტხანს გრძელდებოდა.

გუნდური პირველობა ზეღდულეთელებმა მოიპოვეს. II და III ადგილებზე შესაბამისად სკრის საცდელი სადგურისა და ხიდისთავის კოლმეურნეობის მოჭადრაკეები გავიდნენ.

ვაჟთა პირად პირველობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია ზეღდულეთელთა ლიდერს, ოსტატობის კანდიდატ გ. კუთარაშვილს. ბევრი საჭადრაკო ამოცანის ავტორი საზოგადოების ჩემპიონი გახდა.

ქალთა შორის ყველას აჯობა 12 წლის სკრელმა გოგონამ მ. ოლქესაშვილმა.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).
გორი.



ხაბაროვსკში დამთავრდა შორეული აღმოსავლეთის ავტორალი „ამურის განთიადი", რომელშიც ხაბაროვსკის, ზღვისპირეთის მხარისა და სახალინის მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანების 50-ზე მეტი ეკიპაჟი მონაწილეობდა. ტრასის სიგრძე 1600 კმ იყო. შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა გზატკეცილზე რბოლა, ფიგურული მართვა, სროლა, ხელყუმბარის ტყორცნა, ციცაბო აღმართები და დაღმართები.

ავტორალი შორეულ აღმოსავლეთში მეორედ ჩატარდა. შარშან გუნდური გამარჯვება მოიპოვეს ხაბაროვსკის მხარის მრბოლელებმა. ამჯერადაც მათ აჯობეს ყველას. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ოსტატები სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონი ვ. სენინი (ამურის კომსომოლსკი), მისი თანაქალაქელი, რუსეთის ჩემპიონი ა. ვოლფი, საკავშირო შეჯიბრებათა პრიზიორები, ხაბაროვსკელები ვ. ტრონიკი, ვ. ბეტოვი და ვ. ბალაშოვი.

ს უ რ ა თ ზ ე: გამარჯვებულნი — რუსეთის ჩემპიონი ა. ვოლფი (მარცხნივ) და მისი შტურმანი ნ. სიმონენკო.

ა. გალუშკოს ფოტო. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი საღამო კარპოვ—კორჩნოის მატჩზე





## ინტერვიუს ძებნაში...

მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი, დიდი რუსი რეჟისორი კ. სტანისლავსკი ამბობს, რომ თეატრი გარდერობიდან იწყებაო. ამ სიტყვების სისწორე ვირწმუნეთ, როცა ნახევარი საათით ადრე მივედით მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში, ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩზე. უკვე ფოიეში ვიგრძენით საჭადრაკო ატმოსფერო.

როგორც მუდამ, ხალხმრავლობაა საჭადრაკო ლიტერატურის დახლთან, სადაც უახლეს მასალებთან ერთად იხილავთ ახლო წარსულში გამოცემულ საჭადრაკო ბიულეტენებსა და ჟურნალებს. ფოიეს ერთ კუთხეში ჭადრაკის ერთდროული სეანსის მოყვარულებს მოუყრიათ თავი და პარტიის დაწყებამდე დროს კლავენ.

მივემართები დარბაზისკენ, სადაც თანამედროვეობის ორი უდიდესი მოჭადრაკის ბრძოლის სარბიელია მოწყობილი. სასიამოვნო შესახედავი, თმაშევერცხლილი ქალი თავაზიანად მეუბნება, დარბაზში შესვლა ჯერ ადრეაო. დავხედე საათს: შეხვედრის დაწყებას 20 წუთი აკლია. ზუსტად 16 საათსა და 45 წუთზე (მოსკოვის დროით) იღება კარი და მაყურებლები ადგილებს იკავებენ. 16 საათსა და 50 წუთზე სცენის მარცხენა კუთხიდან გამოდის მაღალი, წარბებდაფახჩული, ღია ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი, სათვალიანი კაცი. ეს მატჩის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო დიდოსტატი და არბიტრი, ბელგიელი ა. ო'კელი გახლავთ. იგი სცენის მარჯვენა კუთხისკენ მიემართება, სადაც მთავარი მსაჯისა და მისი მოადგილის მაგიდა დგას. 16 საათსა და 55 წუთზე დარბაზში სინათლე მატულობს და მთავარი მსაჯი სათამაშო მაგიდას უახლოვდება, რაღაცას ასწორებს და ისევ თავის ადგილს უბრუნდება. ზუსტად 17 საათზე სცენის იმავე კუთხიდან, საიდანაც მთავარი მსაჯი შემოვიდა, გამოდის კარპოვი და საჭადრაკო მაგიდასთან ადგილს იკავებს. იგი დღეს შავებით თამაშობს (ლაპარაკია მატჩის XV პარტიაზე). დარბაზში მის პატივსაცემად ტაში გაისმა. ო'კელი მიუახლოვდა და მიესალმა. კარპოვი წამოდგა და ბელგიელის გამოწვდილ ხელს თავისი შეაგება. კორჩნოი არ ჩანს...

ექვსის სამი წუთია. სცენის მარჯვენა მხრიდან შემოდის კორჩნოი და ო'კელისა და მის მოადგილეს, საერთაშორისო დიდოსტატსა და არბიტრს ს. ფლორს (მასაც რატომღაც დააგვიანდა მატჩზე მოსვლა) სალამს აძლევს. დარბაზი მას არანაკლები ოვაციით ხვდება. კორჩნოი უახლოვდება მაგიდას და მეტოქეები ერთმანეთს მიესალმებიან.

დაჯდომა ერთი იყო და ამ მატჩში, მგონი, პირველად კორჩნოიმ მეტოქეს უჩვეულო დებიუტი შესთავაზა. მეტოქეებმა პირველი სვლები სწრაფად გააკეთეს და... მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ პარტიის აღწერით, ვინაიდან მან უკვე იცის იგი. დავტოვოთ მეტოქენი სცენაზე და დარბაზს გადავხედოთ, სადაც ამ დროისთვის უკვე მომრავლდა მაყურებელი. პარტიის დაწყებიდან კი სულ რაღაც 45 წუთი გავიდა...

გადავწყვიტე პირველი ინტერვიუ ჩემს გვერდით მჯდომი კაცისგან ამეღო, ვთხოვე ეთქვა, ვინ ბრძანდებოდა და რას ფიქრობდა მატჩზე. მკაცრად შემომხედა და უარი მითხრა. მიზეზი რომ ვკითხე, გულმოსულმა შემომხედა და ჩაილაპარაკა: პირველად ვარ მატჩზე და ყურადღებას ნუ მიფანტავთო...

ერიჰაა, დანარჩენებმაც თუ ასე მომიცილეს, რა ვუამბო ჩვენი გაზეთის მკითხველებს-მეთქი, გავიფიქრე და ცივად გავშორდი.

...კოხტად თმადავარცხნილ, სათვალიან გოგონას მივმართე (ვერ ვიტყვი, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებით დარბაზი მაინცდამაინც დამშვენებული ყოფილიყო). მითხრა, მატჩზე შემთხვევით ვარ მოსული, ჩემი ქმარი ჭადრაკის თავგამოდებული გულშემატკივარია და მას წამოვყევიო. ქმარი მის გვერდით არ იჯდა...

ესეც შენი ინტერვიუ. საქციელი წამიხდა და ის იყო განზრახვაზე ხელი უნდა ამეღო, რომ შევნიშნე: ვიღაც თმაჭაღარა კაცს მუხლზე ჯიბის ჭადრაკი გაეშალა და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა...

პარტიის დაწყებიდან ერთი საათი გავიდა... კარპოვი პირველად ადგა სკამიდან... მეტოქეებს 9 სვლა აქვთ გაკეთებული. კორჩნოის 40 წუთი აქვს დახარჯული, კარპოვს — 20.

...ის კაცი მოსკოველი არქიტექტორი ა. მანკოვი გამოდგა, პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე. ძალიან ენაწყლიანია (მაგონდება ერთი ცნობილი ჟურნალისტის შეგონება: ინტერვიუსთვის ენაწყლიანი ხალხი შეარჩიეთო). უცნაურად დასცქერის ჩემს ჩანაწერს, ვერ გაუგია, რა ენაზე ვწერ. ვისი გულშემატკივარი ბრძანდებით-მეთქი, ვკითხე. კარპოვისო. რატომ-მეთქი? იმიტომ, რომ მისი თამაში უფრო ეახლოვდება ჩემს სტილსო (ეს რომ მითხრა, გაიღიმა და, სანამ რამეს ვეტყოდი, დამასწრო: მე რა ისეთი მოჭადრაკე ვარ, სტილზე რომ ვილაპარაკოთ). როცა გაიგო, რომ ქართველი ვიყავი, მითხრა: საქართველო ცნობილია მოჭადრაკე ქალებით, ნეტავ ვაჟები რატომ ვერ თამაშობენ კარგადო? ვატყობდი როლები იცვლებოდა. მადლობა გადავუხადე და მოვცილდი...

ესეც კარგია, მაყურებლებში ერთ კაცს ხომ მაინც ვათქმევინე რამდენიმე სიტყვა. დარბაზს ვტოვებ და პრეს-ცენტრისკენ მივემართები. იქ ხომ ცნობილი მოჭადრაკეები მეგულება...

პრეს-ცენტრისკენ მიმავალს საოცრად ნაცნობი სახის ცქრიალა გოგონა შემომხვდა. შევაჩერე და ჩასაწერად მოვემზადე. ის დგას და იღიმება. რაშია საქმე-მეთქი? მე ბათუმში დავიბადე და ქართულად ნაწერი ვიცანიო. ვინაობა ვკითხე. მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის განყოფილების სტუდენტი ნატაშა ფურმანი ყოფილა. აი, თურმე რატომ ჰქონდა ნაცნობი სახე. ნატაშა ხომ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში წარმატებით თამაშობდა სპარტაკიადებსა და პირველობებში. ვთხოვე რამდენიმე სიტყვა ეთქვა მატჩის გარშემო. გოგონა შეწუხდა და მითხრა: პრეს-ცენტრში ვმუშაობ, სასწრაფო დავალება მომცეს და, როგორც კი შევასრულებ, გნახავთო...

საოცარია პრეს-ცენტრი. ვის არ ნახავთ აქ — ცნობილ მოჭადრაკეებს, მწვრთნელებს, ჟურნალისტებს... ოთხი ტელევიზორი დგას. ორ ეკრანზე კარპოვი და კორჩნოი ჩანან, დანარჩენ ორზე — სადემონსტრაციო დაფა. აქ არიან კარპოვის მწვრთნელი, დიდოსტატი ს. ფურმანი, კორჩნოის მწვრთნელი, ოსტატი ვ. ოსნოსი, დიდოსტატები ა. კოტოვი, ა. ლილიენტალი, ლ. პოლუგაევსკი, თბილისელი დიდოსტატი ე. გუფელდი, ჟურნალ „64"-ის კორესპონდენტი ა. როშალი, ამერიკელი დიდოსტატი რ. ბირნი, ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი მ. ფილიპი და სხვ. კარპოვისა და კორჩნოის დანარჩენი მწვრთნელები — დიდოსტატი ე. გელერი და თბილისელი საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი პრეს-ცენტრში ჯერ არ ჩანან.

...ორი საათი გავიდა პარტიის დაწყებიდან. მეტოქეებმა 12 სვლა გააკეთეს, კორჩნოიმ საათსა და ათ წუთს იფიქრა, კარპოვმა — 50 წუთს. დარბაზის ორ მესამედზე მეტი მაყურებლებით არის სავსე. დარბაზში ერთ ცხაწვილკაცს ვკითხე, კორჩნოი თუ ადგა-მეთქი, ადგაო, მიპასუხა (ეს რომ ვკითხე, ამ დროს კარპოვიც დაბრუნდა კულისებიდან).

...პირველი, ვისაც პრეს-ცენტრში შევხვდით, მოსკოველი ჭადრაკის ისტორიკოსი ი. რომანოვი გამოდგა. მან გვითხრა, რომ კარპოვი უფრო რაციონალურად უდგება ჭადრაკს, მაგრამ ჩემი პირადი სიმპათიები კორჩნოის მხარეზეაო. საერთოდ, ამ ბოლო ხანს იგრძნობა მაყურებლის დაინტერესება და შემობრუნება ჭადრაკისკენ, რაც უთუოდ მისასალმებელიაო.

რიგითი ჭადრაკის მოყვარულების აზრი მაინტერესებს, ვუახლოვდები კაცს, რომელიც, მგონია, ჩემსავით მოყვარულია, ვაჩერებ და ვინაობას ვეკითხები: გაზეთ „ლენინგრადსკი რაბოჩის" კორესპონდენტი ა. ორლოვი (მადლობა ღმერთს, ჩემი კოლეგაა, ბევრს საინტერესოს მეტყვის). ჩემი სიმპათიები კორჩნოის მხარეზეა, მაგრამ ჭადრაკის განვითარებისთვის კარპოვის მოგება აჯობებსო. ეს იმიტომაც აჯობებს, რომ ფიშერს ნაკლებად ექნება საბაბი პრეტენზიები წაუყენოს მეტოქესო (ორიგინალური აზრია, მაგრამ არა ორლოვისა, რადგან ამის შესახებ მოსკოველ ჟურნალისტებთან საუბარში საკმაოდ დაწვრილებით ილაპარაკა ფიდე-ს პრეზიდენტმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, დოქტორმა მ. ეივემ).

ასე რომ მეუბნეოდა, პრეს-ცენტრში შემოვიდა ცნობილი იუგოსლაველი ჟურნალისტი დ. ბელიცა (ფიშერის მეგობარი). ორლოვმა საინტერესო ამბავი მიამბო: მიმდინარე წლის მაისში, როცა ბელიცა ლენინგრადში, სასტუმრო „ასტორიაში" ცხოვრობდა (მეც მასთან ვიყავი), მას დაურეკა ფიშერმა და ჰკითხა: მართლა ასე ძლიერია კარპოვი, რომ მასთან მატჩისთვის უნდა ვემზადოო (კარპოვმა მაშინ სპასკის მოუგო მატჩი). ბელიცამ უპასუხა, ნუ ჩქარობ, ჯერ ადრეა სამზადისიო. ორლოვმა, სხვათა შორის, ერთი საინტერესო ცნობა მომაწოდა: ბელიცა ღრმადაა დარწმუნებული რომ, ვინც უნდა გაიმარჯვოს კარპოვ—კორჩნოის მატჩში, ფიშერი მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩს აუცილებლად ითამაშებსო.

ამ დროს ბელიცა წასვლას აპირებდა და გამოვეკიდე, იქნებ ზოგი რამ საინტერესო მითხრას-მეთქი. ყველაზე საბრძოლო მატჩია იმათ შორის, რაც კი ოდესმე გამართულა პრეტენდენტებს შორისო. მერე ბოდიში მომიხადა, მეჩქარებაო და პრეს-ცენტრიდან გაქრა...

მკითხველებს ვაუწყებთ, რომ ბელიცას სსრ კავშირში ჩამოტანილი აქვს ფილმები ფიშერზე და ნიცის ოლიმპიადაზე, ლექციებით გამოდის მოსკოვის საწარმო-დაწესებულებებში. შესაძლოა იგი თბილისსაც ეწვიოს.

დარბაზს ვუბრუნდებით. ჩემს უკან ვიღაც გოგონა ჭაბუკს ეჩურჩულება: აი, ნახავ, დღეს პარტია შედეგიანი იქნებაო. გუნებაში გავივლე: ღმერთმა გისმინოს, ამდენი ყაიმის (მაგრამ არა უფერული ყაიმის!) შემდეგ იქნებ შედეგიანი პარტიაც გამოერიოს-მეთქი.

...სამი საათი მიიწურა. მეტოქეებს 21 სვლა აქვთ გაკეთებული. კორჩნოის დრო 1 საათი და 45 წუთი, კარპოვისა — 1 საათი და 15 წუთი. დარბაზი თითქმის გაივსო ხალხით.

ვბრუნდები პრეს-ცენტრში. დიდოსტატი ფურმანი იმავე პოზაში, პირში განუყრელი პაპიროსით, იმავე მაგიდას უზის. პრეს-ცენტრში დიდოსტატი გელერი გამოჩნდა, ფურმანის მაგიდას მიუჯდა და რაღაცაზე საუბარი გაუბა.

ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი მ. ფილიპი ჭადრაკის სამყაროში ცნობილია თავისი... სიმაღლით, დიახ, სიმაღლით. ალბათ მსოფლიოში მასზე მაღალი დიდოსტატი არ არის. ის ამ დროს პრეს-ცენტრში იყო და ვიცანი.

...როცა დაველაპარაკე, გაოცება ვერ დავმალე. ხომ არ მოვტყუვდი, ხომ არაფერი შემეშალა-მეთქი. ფილიპი უაქცენტოდ ლაპარაკობს რუსულად და, ცხადია, თარჯიმანი არ დაგვჭირვებია. ბედნიერი ვარ, ასეთ მატჩს რომ ვესწრებიო, მითხრა ფილიპმა. ბრძოლა ძალიან დაძაბულია და, რაც მთავარია, დიდოსტატური ყაიმები არ არისო. ვფიქრობ, კარპოვი გაიმარჯვებს. სამწუხაროდ, ერთი კვირით ვარ ჩამოსული და მატჩის ბოლომდე ვერ დავრჩებიო. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ითამაშებს თუ არა ფიშერი მატჩს, მტკიცედ მჯერა, რომ არ ითამაშებსო.

შევეცადე ბირნისგან ამეღო ინტერვიუ. ინგლისურის მცოდნე მოსკოველი ყმაწვილიც მოვნახე, მაგრამ, როცა ბირნმა გაიგო, რომ ჟურნალისტი ვიყავი, ცივი უარი მტკიცა. თურმე ამას წინათ რომელიღაც მოსკოველი ჟურნალისტისთვის ინტერვიუ მიუცია, მას კი სულ აურ-დაურევია ყველაფერი. რას იზამ, ჩამივარდა კოვზი ნაცარში.

...როგორც იქნა, ფურმანი წამოდგა. გელერი გაცხარებით არჩევს პარტიას. ოსნოსი არ ჩანს. ჯინჯიხაშვილიც არ მოსულა.

...პრეს-ცენტრში ხალხი თანდათან ტელევიზორების გარშემო იყრის თავს. საჭადრაკო დაფაზე მდგომარეობა ერთობ დაიძაბა (მგონი, მართლდება იმ გოგონას სიტყვები!). ფურმანი ლამის ტელევიზორში შეძვრეს... გელერმა დაამთავრა პოზიციის ანალიზი და ფურმანს რაღაცას ეჩურჩულება... ფურმანი უბრუნდება თავის ტრადიციულ ადგილს... რაღაც უფრო დამშვიდებული ჩანს...

...გავიდა ოთხი საათი. მეტოქეებმა 30 სვლა გააკეთეს. კორჩნოიმ 2 საათსა და 20 წუთს იფიქრა, კარპოვმა — 1 საათსა და 40 წუთს. დარბაზში ტევა არ არის. კორჩნოის ცაიტნოტი ემუქრება. დაფაზე ძალიან მწვავე პოზიციაა...

...გადავწყვიტე პარტიის მეხუთე საათი მეტოქეთათვის მედევნებინა თვალი. ასე მეჩვენება: კორჩნოი უფრო მოუსვენრადაა და ეს გასაგებიცაა — იგი ხომ დროის ნაკლებობას განიცდის: რვა სვლისთვის 5 წუთი დარჩა. დარბაზში მღელვარება მატულობს. სცენაზე სულ უფრო ხშირად ინთება სიწყნარისკენ მომწოდებელი ნათურა... კორჩნოის 2 წუთი დარჩა ოთხი სვლისთვის, კარპოვს — 45 წუთი. იგი აუღელვებლად ზის სკამზე. კორჩნოი კიდევ უფრო აწრიალდა. ბოლოს და ბოლოს ცაიტნოტი მისთვის მშვიდობიანად დამთავრდა...

პარტია გადაიდო. დარბაზი დავტოვე და გადავწყვიტე უკანასკნელად შემევლო პრეს-ცენტრში. ერთ მაგიდას კვლავ გელერი თავკაცობს, მეორესთან პოლუგაევსკი აქტიურობს, მესამესთან კი... ღმერთო, რა საოცრად ნაცნობი სახე აქვს ამ კაცს. იგი მშვიდად დგას საჭადრაკო მაგიდასთან — თვალს ადევნებს კომენტატორებს. კი, ნამდვილად სტაროსტინია, მაგრამ რომელი? ისინი ხომ ოთხი ძმანი იყვნენ — ცნობილი ფეხბურთელები. გამოვეცნაურე — ანდრეი გამოდგა. მატჩი რომ საინტერესო არ ყოფილიყო, აქ ვერ მნახავდითო. ძალიან მომწონს კორჩნოის უშეღავათო ბრძოლა, ნეტა ასე ფეხბურთელები თამაშობდნენო. რადგან ფეხბურთს შევეხო, ვთხოვე აზრი გამოეთქვა თბილისის დინამოელებზე. სტაროსტინმა მითხრა, ჩემი აზრით, მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ ცდილობენ უაღრესად ნიჭიერი, თვითმყოფი ნიჭის ქართველი ფეხბურთელები სტანდარტულად ათამაშონ, არ აძლევენ მათ იმპროვიზაციის საშუალებასო. იაკუშინის მისვლის შემდეგ გუნდმა საგრძნობლად გამოასწორა თამაში და მომავალში ბიჭები ალბათ კიდევ უფრო კარგად ითამაშებენო. მადლობა გადავუხადე სტაროსტინს ასეთი ოპტიმიზმისთვის.

...იმ გოგონას სიტყვები არ გამართლდა.

... ნატაშა ფურმანთან ინტერვიუ კი არ შედგა: გოგონას უამრავი საქმე ჰქონდა პრეს-ცენტრში.

ა. მხეიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.

• • •

სურათებზე: ზევით — ვ. კორჩნოი; ქვევით (მარცხნიდან) — ა. ო'კელი, ს. ფლორი და ა. კარპოვი.

ვ. გალაკტიონოვის ფოტოები.




„სულით და გულით", — ეს სიტყვები ნონა გაფრინდაშვილმა მასწავლა, — თქვა ცნობილმა იუგოსლაველმა სპორტულმა ჟურნალისტმა დ. ბელიცამ. ამ სიტყვებით მიესალმა იგი „ლელოს" მკითხველებს.

---

# ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

## I ლიგა

# მოულოდნელი წაგება

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 28 ოქტომბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 0:2 (0:0).

„ტორპედო": გაბელია, კოხტავა, ფარულავა, ჭოხონელიძე, ქვირია, ჩახუნაშვილი (ბერულავა), ოქროპირაშვილი, შელია, ფენტვენიძე (აბზიანიძე), შენგელია, ბურკაძე.

„სპარტაკი": კირიჩენკო, პავლიხკო, კობიჩკო, რაბოჩი, კოპიტჩაკი, კუშლიკი, რიბაკი, დირივი, ჩოპეი, კოზინი (გუმენილოვიჩი, სმოლიაკი), ანისტრატოვი.

მსაჯი მ. ჩერლანცევი (ალმა-ათა).

დუბლიორები — 0:1.

I ლიგის საკავშირო გათამაშების ფინიშზე ქუთაისის „ტორპედოს" ორი მატჩი დარჩა შინ ჩასატარებელი. შეიძლება ითქვას, რომ გუნდის წინაშე წლევანდელ სეზონში დასახული საერთო ამოცანა შესრულებულია, მაგრამ ყოველ მონაპოვარს განმტკიცება ესაჭიროება და გუნდის ქომაგები მოელოდნენ ტორპედოელთა ახალ წარმატებას ქულების მარაგის შესავსებად. ეს კი არ მოხდა. ტორპედოელებმა თავიანთ შესაძლებლობაზე გაცილებით სუსტად, მოუნდომებლად ჩაატარეს ეს მატჩი.

სტუმრებმა კი პირიქით, საუცხოოდ ითამაშეს. გასაკვირი აქ არაფერია, ვინაიდან ივანო-ფრანკოვსკის გუნდს ერთობ მერყევი მდგომარეობა ჰქონდა გათამაშების ცხრილში და სწორედ ბოლო ორ მატჩში უნდა გამოეჩინა მთლიანად თავისი შესაძლებლობა, რათა ბოლო სამეულში არ აღმოჩენილიყო. სპარტაკელებმა თავგანწირვით იბრძოლეს ამ მიზნის მისაღწევად და შეძლეს ის 2 ქულის აღება, რაც ესოდენ ესაჭიროებოდათ.

ტაიმმა უფერულად განვლო. მასპინძელთა თავდამსხმელებმა ვერ გაუგეს ერთმანეთს, შეუთანხმებლად ითამაშეს. მაშინ, როცა სპარტაკელთა კართან სახიფათო მომენტები იქმნებოდა, ოსტატურად მოქმედებდა მეკარე კირიჩენკო, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთის აღება შეძლო.

მეორე ტაიმმა ცხადყო, რომ სპარტაკელები უფრო მეტად იყვნენ მობილიზებული გამარჯვების მოსაპოვებლად. „ტორპედოს" რამდენიმე იერიში მათ წარმატებით მოიგერიეს, შემდეგ ხელთ იგდეს ინიციატივა და 61-ე წუთზე კარგად გათამაშებული საჯარიმოს შემდეგ კოზინმა ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა. შემდგომში სტუმრები კვლავ აღმავლობით იბრძოდნენ და 86-ე წუთზე გაბელიასთან პირისპირ გასულმა ჩოპეიმ მეორედ აიღო ტორპედოელთა კარი.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### ჭადრაკი



სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა XXXIV ჩემპიონატის ფინალი, რომელიც 25 ოქტომბერს საზეიმოდ დაიხურა თბილისის ჭადრაკის სასახლეში, უკვე ჭადრაკის ისტორიის კუთვნილება გახდა. ამ შეჯიბრების პერიპეტიები და მონაწილეთა შემოქმედებითი მიღწევები კარგა ხანს იქნება სპეციალისტთა მსჯელობის საგანი.

განვლილ მძაფრ ბრძოლებს მონაწილეებს ჩემპიონატის საზეიმო დახურვაზე მიღებული ჯილდოები გაახსენებთ. ჯილდოები უმრავლესობამ მიიღო. მაგალითად, სსრ კავშირის ჩემპიონს ე. ფატალიბეკოვას გადაეცა თბილისის კერამიკული კომბინატის პრიზი — ფაიფურის ვეებერთელა თეთრი ლაზიერი თეთრებით ყველაზე მეტი (8) მოგებისთვის. მეორე, ოღონდ შავი ლაზიერი, მიიღო მ. რანიკუმ, რომელმაც, ისევე როგორც მ. ჩიბურდანიძემ, შავებით 6 შეხვედრა მოიგო. მაია ქედური ნამუშევრით დააჯილდოვეს. ნორჩმა მოჭადრაკემ კიდევ ერთი ჯილდო მიიღო — გაზეთ „კომუნისტის" სავანგებო პრიზი ვ. კოზლოვსკაიასთან ლამაზად მოგებული პარტიისთვის (იხ. 15 ოქტომბრის „ლელო").

• • •

სურათზე: ჩემპიონატის პრიზიორები ე. ფატალიბეკოვა (შუაში, I ადგილი), მ. შული (მარცხნივ, II ადგილი) და ვ. კოზლოვსკაია (III ადგილი).

ა. კოტორაშვილის ფოტო.

### ჭადრაკი

# ბრძოლა გაგრძელდება

ვინ გაიმარჯვებს — მ. ჭიპაშვილი თუ ზ. მიქაძე? ასე იდგა საკითხი თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა 43-ე ჩემპიონატის დასკვნითი სამი ტურის წინ. როგორც მოსალოდნელი იყო, ფინიშზე შეხვედრები მძაფრი გამოდგა.

ჭიპაშვილმა მხოლოდ 1,5 ქულა მოაგროვა. მან სძლია გ. მაჭარაშვილს, ყაიმზე შეუთანხმდა ოსტატ თ. ლომაიას, დასკვნით ტურში კი გ. ცქიტიშვილთან დამარცხდა. მიქაძემ 2 ქულა მოიპოვა: მოუგო ს. კიკილაშვილს, დაუზავდა ოსტატებს დ. ჯანოევსა და ლომაიას. ორივე მოჭადრაკეს 11-11 ქულა დაუგროვდა. მათ I-II ადგილები გაიყვეს.

ფინიშზე ძალიან კარგად თამაშობდა გ. ცქიტიშვილი. ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ მან ბოლო ხუთ ტურში 4,5 ქულა დააგროვა და 10 ქულით III ადგილი დაიკავა.

შემდეგ ადგილებზე არიან: ჯანოევი — 9 ქულა, დ. გედევანიშვილი — 8,5, ლომაია, ნ. ჩახოიანი — 8-8, ე. მიქაელიანი — 7,5, ვ. ვეფხვიშვილი, ი. ცქიტიშვილი — 7-7, ზ. სტურუა — 6,5, ა. ბოკუჩავა, კიკილაშვილი, მაჭარაშვილი — 6-6, ი. ეფრემოვი — 4,5, პ. შაქარიანი — 4.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მიქაძემ და ჭიპაშვილმა. ამ ბოლო ხანს მიქაძე შესამჩნევად დაოსტატდა. ამას წინათ მან სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა ვ. ქარსელაძის III მემორიალში. მიქაძე ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა: 8 პარტია მოიგო, 6 ყაიმით დაამთავრა და ერთი წააგო.

ჭიპაშვილმა ყველაზე მეტი (10) პარტია მოიგო. ეს შემთხვევითი როდია. ნიჭიერ მოჭადრაკეს იტაცებს იერიში, ტაქტიკური ბრძოლა. შეიმჩნევა, რომ ჭიპაშვილი სისტემატურად აუმჯობესებს თამაშს. მისი გამარჯვება საიმედო ხომავლის საწინდარია.

ჩემპიონის ვინაობის გასარკვევად ახლო მომავალში შედგება მიქაძე — ჭიპაშვილის მატჩი. მეტოქეები ოთხ პარტიას გაითამაშებენ.

სასიამოვნოა, რომ სარბიელზე გამოჩნდნენ მზარდი ახალგაზრდები — ძმები გიორგი და ირაკლი ცქიტიშვილები, სტურუა. მათი თამაში პერსპექტიული ჩანს.

გამოცდილმა მოჭადრაკეებმა შეჯიბრება თანაბრად ვერ ჩაატარეს. მაგალითად, ჩახოიანმა ზედიზედ სამი პარტია მოიგო, ამდენივე წააგო, ფინიშზე კი ოთხ შეხვედრაში გაიმარჯვა. ივევე ითქმის გედევანიშვილისა და კიკილაშვილის შესახებ.

დამთავრებულმა ბრძოლამ ცხადყო, რომ ბევრი თბილისელი მოჭადრაკე (მათ შორის ოსტატებიც) ცოტას მუშაობენ კლასის სრულყოფისთვის.

თ. ნინოშვილი.

• • •





სურათებზე: ზ. მიქაძე (მარცხნივ) და მ. ჭიპაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# მასპინძლებმა თავი შეირცხვინეს

ამბროლაურში დამთავრდა საქართველოს VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ჭადრაკში (დასავლეთის ზონა). ტურნირში მონაწილეობდნენ ამბროლაურის, ონის, გეგეჭკორის, სამტრედიის, თერჯოლის, ცხაკაიას, წულუკიძის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ცაგერისა და ხესტაფონის გუნდები (თითოეულ კოლექტივში 5 ვაჟი და 2 ქალი იყო).

I ადგილი დაიკავა ცხაკაიას გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ზ. ლიფონავა, ზ. ტოგონიძე, გ. კინწურაშვილი, თ. ფალავა, გ. ჭითავა, ნ. ჯანჯღავა, მ. ტოგონიძე. II ადგილზე გავიდა სამტრედიის გუნდი (მ. არჩვაძე, ტ. ტერელაძე, ვ. შალიაპინი, ნ. ლეკვეიშვილი, ბ. ჩხაიძე, ი. ჯანელიძე, ნ. მელია), III — ონის ნაკრები (ბ. გუჯეშაშვილი, ო. ლობჟანიძე, ნ. გუგეშაშვილი, კ. გობეჯიშვილი, გ. ბერელიძე, ნ. ხუბულური, ნ. გუგეშაშვილი).

მომდევნო ადგილებზე არიან: IV. ხესტაფონი, V. თერჯოლა, VI. გეგეჭკორი, VII. ჩხოროწყუ, VIII. ჩოხატაური, IX. ცაგერი, X. წულუკიძე, XI. ამბროლაური.

დაფების მიხედვით I ადგილებზე გავიდნენ: პირველ დაფაზე — არჩვაძე, მეორეზე — ტოგონიძე, მესამეზე — კინწურაშვილი, — მეოთხეზე — გობეჯიშვილი, მეხუთეზე — მ. სულავა, მეექვსეზე — ხუბულური, მეშვიდეზე — მელია.

ამბროლაურის გუნდი ბოლო ადგილზე დარჩა, რაც ნათლად გვიხატავს ამ რაიონში ჭადრაკისადმი დამოკიდებულების დღევანდელ სურათს. ჭიანურდება ჭადრაკის რაიონული კლუბის შეკეთება, რომელიც თავის დროზე მთელი რაიონის საჭადრაკო ცხოვრების მაორგანიზებელი იყო. ზონალური ტურნირი გაიმართა კულტურის სახლის არცთუ ნათელ დარბაზში. შეჯიბრების დროს არ იგრძნობოდა რაიონის ფიზკულტურის მესვეურთა ყურადღება, არც საჭადრაკო აქტივის მონაწილეობა. მოჭადრაკეთა შეხვედრებით რაიონის ხელმძღვანელობა არ დაინტერესებულა.

გასაკვირი იყო ისიც, რომ მასპინძლებმა, რომლებსაც მუდამ ჰყავდათ ძლიერი მოჭადრაკეები, ახლა სრული გუნდი ვერ გამოიყვანეს, ყოველ მატჩში მხოლოდ 2-3 კაცი თამაშობდა. ამ ამბავმა თვით ამბროლაურელები აღაშფოთა. შეჯიბრების შემდეგ რაიონულ გაზეთ „კომუნიზმის დროშაში" გ. ჯაფარიძე წერდა: „სად იყვნენ რაიონის წამყვანი მოჭადრაკეები? ახლა ისინი თავს იმართლებენ, გვიან გავიგეთ და პირადად არ შეგვატყობინესო, ალოობის ცხარე დღეებია და დრო არა გვაქვსო. დავიჯეროთ ვითომ შორეული რაიონებიდან ჩამოსული 70-მდე სპორტსმენი მოცლილია და საქმე არა აქვთ? არა, ეს არ ამართლებს მათ". როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ცუდმა ორგანიზაციამ შეჯიბრებას ლაზათი დაუკარგა. იგი უფერული და უინტერესო გამოვიდა.

მ. ძნელაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ამბროლაური.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ისევ ბეკენბაუერი

სპორტულმა ჟურნალმა „კიკერმა" ჩაატარა ტრადიციული კონკურსი: „ვინ არის გფრ-ის უძლიერესი ფეხბურთელი?".

კონკურსში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ბეკენბაუერმა (411 ხმა), II ადგილზეა ფოგტსი (124), III — მაიერი (88).

დანარჩენებმა ხმების უმნიშვნელო რაოდენობა მოაგროვეს: ოვერატმა — 26, ბრაიტნერმა — 18, მიულერმა — 12, ბონჰოფმა — 9, ჰიონესმა — 5.

### პელეს უარი

დიდი ხანი არ არის, რაც პელემ თავი დაანება ფეხბურთს. მაგრამ სულ ახლახან მან წერილი მიიღო მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობისგან. „რეალს" არა ჰყავს უმაღლესი კლასის ფეხბურთელები და პელეს კონტრაქტი შესთავაზა. პელემ კატეგორიული უარი განაცხადა მინდორზე დაბრუნებაზე.

### „ბაიერნის" გასტროლები

როგორც რიო-დე-ჟანეიროში გამოცხადდა, ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟ. ავილანჟმა ბრაზილიაში საგასტროლოდ მიიწვია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი — მიუნხენის „ბაიერნი".

დაგეგმილია „ბაიერნის" რამდენიმე მატჩი რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუში ბრაზილიის უძლიერეს საკლუბო გუნდებთან.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ფეხბურთის ისტორიაში პირველი მატჩი 1863 წელს მოეწყო ინგლისში. მაგრამ ამ პოპულარულ თამაშს ფესვები ბევრად უფრო შორეულ წარსულში აქვს გადგმული.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასწლეულის წინათ „ფეხის ბურთი" უკვე პოპულარული იყო ჩინეთში. საიმპერატორო კარის წარჩინებულნი, განსაკუთრებით კი სამხედრო პირები, ამ თამაშს საუცხოო ფიზიკურ ვარჯიშად თვლიდნენ.

ჩვენს წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ფეხბურთის მსგავსი თამაში გაჩნდა იაპონიაში. ამ თამაშმა ძალიან გაიტაცა თვით მემკვიდრე პრინციტენტი ტენო. „კემარი" (ასე უწოდებდნენ ახალ თამაშს) სწრაფად გავრცელდა იაპონელ წარჩინებულთა ოჯახებში.

ეს სახელწოდება არ დაკარგულა და „კემარის" დღემდე თამაშობს იაპონიის ორი კლუბი. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს ერთ ერთი მონასტრის მახლობლად საგანგებოდ მოწყობილ მინდორზე. „კემარი" თავისებურ რელიგიურ რიტუალად იქცა. ვინმე პატივსაცემ პიროვნებას მონასტრის მკვიდრთაგან მინდორზე გამოაქვს ბუმბულით გატენილი მსუბუქი ბურთი. შემდეგ მინდორზე გამოდიან ლამაზ ძველებურ კოსტიუმებში გამოწყობილი მოთამაშეები. მათი ამოცანა ასეთია: 20 წუთის განმავლობაში ფეხით უნდა ათამაშონ ბურთი ჰაერში და მიწაზე არ დააგდონ იგი.

სპორტის თაყვანისმცემლებმა იციან, რომ შუა საუკუნეებში ფეხ-

# რამდენი წლისაა ფეხბურთი?

ბურთის მსგავსი თამაშები პოპულარული იყო დასავლეთ ევროპაშიც. თუმცა შუა საუკუნეების „ფეხბურთის" წარმოშობაზე ერთი აზრი არ არსებობს, სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მისი სათავე ძველ რომში გავრცელებული თამაში „ხარპასტუმი" უნდა იყოს. არ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რამდენად დიდია მისი მსგავსება ფეხბურთთან და მარტო ფეხით იყო თუ არა თამაში ნებადართული. „ხარპასტუმს" თავის ნაწარმოებებში ახსენებს შუა საუკუნეების მხოლოდ ორი ავტორი — სენეკა და მარტიალი. მაგრამ თამაშის წესებზე ორივე სდუმს. იყო თუ არა ეს ნამდვილი ფეხბურთი? ეჭვი არ არის, ამ ორ თამაშს შორის გარკვეული მსგავსებაა, მაგრამ შუა საუკუნეების „ფეხბურთი" თანამედროვე რეგბის მაინც უფრო ჰგავს.

ფეხბურთმა იმთავითვე ყველგან როდი მოიპოვა აღიარება. ინგლისშიც კი, რომელიც ოფიციალურად ითვლება ფეხბურთის სამშობლოდ, ამ თამაშმა დიდი გაჭირვებით გაიკაფა გზა. 1349 წელს ინგლისის მეფე ედუარდ III ფეხბურთით გატაცებულ თავის კარისკაცებს მოსთხოვა ხელი აეღოთ ამ „უაზრო გასართობზე", რომელიც ხელს უშლიდა მათს დაოსტატებას მშვილდოსნობაში. იგი გამონაკლისი არ ყოფილა. ჯერ კიდევ მამამისი ედუარდ II, ცდილობდა აეკრძალა „ბურთის ზედმეტად ხმაურიანი თამაში".

1610-1668 წლების ფრანგულ ქრონიკებში მოხსენიებულია თამაში „შეოლარი", სადაც დიდ ბურთს ფეხებს ურტყამდნენ და ისე ერთობოდნენ. ესე იგი, ფეხბურთი „ოფიციალურ დაბადებამდე" იყო ცნობილი ლამანშის აქეთ. ამ თამაშის წესებიც არ არის ბოლომდე ნათელი. ფიქრობენ, რომ თამაშის დასაწყისში ბურთს ჰაერში ააგდებდნენ, შემდეგ კი ორივე გუნდის მოთამაშეები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ იგი და თავიანთს ზონაში გადაეტანათ. თამაში ძალიან მიმზიდველი იყო. მოთამაშეებსა და მაყურებლებს ნერვების დაოკება უჭირდათ და მინდორზე ხშირად ხელჩართული ომი ჩაღდებოდა. შუა საუკუნეებიდან ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ ქრონიკაში „სპორტული კომენტატორი" წერს: „არ შეიძლება ჯანის გამკაჟებელი ეწოდეს ამ უხეშ თამაშს, რომელსაც წესები არა აქვს, რომელშიც ადამიანები ერთმანეთს თავებს უტეხენ და ძვლებს ამტვრევენ". შეიძლება სწორედ ასეთმა შეხედულებამ განაპირობა წესების დაზუსტება, რასაც თანამედროვე ფეხბურთის დაბადებაც მოჰყვა.

ა. ანდრეევი.
(საკდესის კორ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

შეგახსენებთ: საქართველოს სპორტკომიტეტი აწყობს თბილისში მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა დამატებით ატესტაციას.

ცენტრალური საატესტაციო კომისია იმუშავებს 30 და 31 ოქტომბერს საქართველოს სპორტკომიტეტში (ჯაფარიძის ქ. № 4) 16 საათიდან.

## თბილისის სპორტული კვირა

**მძლეოსნობა.** „ლოკომოტივის" სტადიონი, 30 ოქტომბერი. საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის ღია პირველობა. მონაწილეობენ თბილისის, რიგის, დონეცკის, დნეპროპეტროვსკის, კიევისა და სხვა ქალაქების სპორტსმენები. დასაწყისი 10 ს.

**სასტენდო სროლა.** თბილისის არმიელთა სპორტკლუბის სასროლეთი ვარკეთილში. 30-31 ოქტომბერი. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. დასაწყისი 10 ს.

**ფრენბურთი.** ლენინის სახელობის სპორტდარბაზი. 30-31 ოქტომბერი. თბილისის VI სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 16 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.